ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ეკონომიკური ძალადობის დანაშაულად კვალიფიკაცია

ხატია ფიფია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ხატია ფიფია

23.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკური ძალადობის სამართლებრივ ანალიზს ოჯახში ძალადობის კონტექსტში და მის დანაშაულად შეფასების პერსპექტივას. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ძალადობა ხილულ ფიზიკურ ნიშნებს იშვიათად ტოვებს, იგი მსხვერპლზე ახდენს ღრმა და კომპლექსურ გავლენას — აზიანებს მის ღირსებას, ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას, ამძიმებს სოციალური იზოლაციის მდგომარეობას და იწვევს ხანგრძლივ ფსიქოსოციალურ ზიანს. ამ ტიპის ძალადობა ხშირად სისტემურ და დაფარულ ფორმას იღებს, რაც სამართლებრივ რეაგირებას ართულებს და ხელს უწყობს გენდერული დისკრიმინაციის შენარჩუნებას.

ნაშრომში გაანალიზებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობა ისე საერთაშორისო აქტები. ნაშრომი აფასებს ქმედების ეკონომიკურ ძალადობად კვალიფიკაციის შესაძლებლობებს და კანონით გათვალისწინებული რეაგირების მექანიზმების ეფექტიანობასა და საკმარისობას.

ნაშრომი დეტალურად მიმოიხილავს შემაკავებელი და დამცავი ორდერების ინსტიტუტს, მსხვერპლთა დაცვის სერვისებს და სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების სტანდარტებს. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ძალადობის დანაშაულად შეფასების სამართლებრივი პერსპექტივების ანალიზი, რაც ხორციელდება შედარებითი სამართლის საფუძველზე. დეტალურად არის განხილული საერთაშორისო პრაქტიკა, რომლებიც ეკონომიკურ ძალადობას ცალკე სისხლის სამართლის დანაშაულად აფასებენ, და გაერთიანებული სამეფოს მიერ გამოყენებული „non-molestation orders“-ის სამართლებრივი მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები

ეკონომიკური ძალადობა, ოჯახში ძალადობა, გენდერული ძალადობა, სისხლის სამართლის კოდექსი, პრევენციული მექანიზმები, შემაკავებელი ორდერი, დამცავი ორდერი, სამართლებრივი აღიარება, სოციალური იზოლაცია, ეკონომიკური დომინაცია, საერთაშორისო პრაქტიკა, გენდერული.

Abstract

This thesis is dedicated to the legal analysis of economic violence in the context of domestic violence, focusing on the legal recognition of this conduct and the mechanisms for responding to it. Although economic violence often leaves no physical traces, its impact on the victim is profound, encompassing the violation of dignity, restriction of economic independence, deepening of social isolation, and long-term psychosocial harm. This form of violence frequently remains a systemic and unacknowledged practice, which complicates legal responses and poses a threat of perpetuating gender-based discrimination.

The thesis analyzes both the Georgian legal framework—particularly the relevant articles of the Criminal Code of Georgia and the Law on the Elimination of Domestic Violence—and international standards and best practices, including the approaches of the United Nations Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW). The effectiveness of existing norms in qualifying and preventing economic violence is assessed, and attention is drawn to the legal gaps that hinder the systematic recognition of this form of abuse.

The work provides a detailed examination of both preventive and responsive mechanisms, such as the institution of restraining and protective orders, victim protection services, and the response standards of law enforcement bodies. It presents an in-depth analysis of international experiences, including legislation adopted in Australian states, which defines economic violence as a separate criminal offense, and the legal effectiveness of "non-molestation orders" in the United Kingdom, forming a significant comparative legal basis for improving the Georgian model.

Keywords:

Economic violence, domestic violence, gender-based violence, Criminal Code, preventive mechanisms, restraining order, protective order, legal recognition, social isolation, economic domination, international practice, gender equality, human rights, victim protection, legal reform.

.